## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

(პროექტი)

#01-04/40 14.06.2017

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნის შესახებ ;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და ს ს ი პ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად ვბრძანებ:

1. . ს ს ი პ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის : ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, პედაგოგიურ, ჯანდაცვის, საინჟინრო - ტექნოლოგიურ,საიჟინრო-ტექნიკურ, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, აგრარულ , ზუსტ და საბუნებისმეტყველო და საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩატარდეს წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნები.

2. არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 28 ივნისს 10 საათიდან 17 საათამდე.

3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2017 წლის 15 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით, 12 საათიდან 15 საათამდე; - მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

4. უნივერსიტეტის სააჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტების დეკანებს.
8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს.
9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 29 ივნისის ჩათვლით 16 საათამდე.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი